



სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიზანი და ფუნქციები

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია:
 - ა) უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვა, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა.
 - ბ) უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე ზრუნვა.

2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციაა:

- ა) უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, უცხოურ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაცვლითი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებული და გაგზავნილი სტუდენტებისა და პროფესორების მომსახურება;
- დ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის;
- ე) უცხოურ ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;
- ვ) შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით სტუდენტებისა და პერსონალის მოხილვების ხელშეწყობა;
- ზ) უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების უზრუნველყოფა;
- თ) სტუდენტებისა და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ი) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წლიური სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება-განხორციელება;
- კ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზება;
- ლ) უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის რჩევებისა და რეკომენდაციის მიცემა საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით;
- მ) სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიება და მის განხორციელებაში უნივერსიტეტის ჩართვა;
- ნ) უცხოელი სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით და მოზიდვა;
- ო) მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- პ) პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზება;
- ჟ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სხვა სახის აქტივობების ორგანიზება;

- რ) თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და მემორანდუმების გაფორმება;
- ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად სამუშაოების განხორციელება.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები

1. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობაა: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.
2. სამსახურის უფროსს და მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. სამსახურის უფროსი:
 - ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - ბ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
 - გ) ზედამხედველობს მთავარი სპეციალისტის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;
 - დ) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;
 - ე) ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;
 - ვ) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
 - ზ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხილვაში;
 - თ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას;
 - ი) უზრუნველყოფს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარებას საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან;
4. მთავარი სპეციალისტი
 - ა) დახმარებას უწევს უფროსს სამსახურის ამოცანების შესრულებასა და მისი ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში;
 - ბ) ხელს უწყობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას;
 - გ) მონაწილეობს რექტორის და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა საქმიანი ვიზიტების დაგეგმვა-ორგანიზებაში;

- დ) ხელს უწყობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას;
- ე) მონაწილეობს გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზებაში;
- ვ) უზრუნველყოფს გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოსული ან/და გაგზავნილი სტუდენტებისა და პროფესორების მომსახურებას;
- ზ) აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს უნივერსიტეტის სტუდენტებს საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით;
- თ) ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის;
- ი) მონაწილეობს საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებაში.
- კ) მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზებაში;
- ლ) მონაწილეობს იღებს უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სხვა სახის აქტივობების ორგანიზებაში;
- მ) ახდენს უცხოელი სტუდენტების ინფორმირებას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით;
- ნ) უზრუნველყოფს შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობას;
- ო) ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ დაკისრებული სხვა მოვალეობს.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტით, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.